საერთო კრებაში მონაწილოებისა და ხმის მიცემის პროცედურები:

- აქციონერები უფლებამოსილები არიან, კრების მოწვევის შეტყობინებაში მითითებულ დროს უშუალოდ დაესწრონ საერთო კრებას ან/და გამოყენებულ იქნას წესდებით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, რაზეც წინასწარ უნდა შეატყობინონ კომპანიის ხელმძღვანელ პირს შესაბამისი მზაობისთვის. თავიანთ ტექნიკურ უზრუნველყოფას თითოეული აქციონერი განახორციელებს დამოუკიდებლად.
- საღრიცხვო თარიღი: საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისთვის. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღია კრების მოწვევის შეტყონებაში აღნიშნული სააღრიცხვო თარიღი.
- აქციონერის, საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის კუთვნილი აქციათა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან _ ს.ს ,,საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტარტორი", მისამართი: თბილისი, მოსაშვილის N11 ან აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს სს ,,ნიკორას" ხელმძღვანელს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული ინფორმაციის წარმოდგენისთვის.
- საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაში ინფორმაცია სათანადო წესით უნდა მიეწოდოს საზოგადოების ხელმძღვანელს. საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია უშუალოდ საერთო კრებაზე დასწრებით ან/და წესდებით დადგენილი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.
- დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედეოს წარმომადგენელმა.
- საერთო კრების გახსნამდე რეგისტრაცია:
  საერთო კრების გახსნამდე, კრების მოწვევის შეტყობინებაში მითითებულ დროს, ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია (აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, ქვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება).
- აქციონერს უფლება აქვს, სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა.
- საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.
- კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:
  ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;
  ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.
- საერთო კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილია, სს ,,ნიკორას" სათაო ოფისი, მდებარე: ქ.თბილისი, ა.მრევლიშვილის N2. აღნიშნულ მისამართზე, აქციონერი ან მისია წარმომადგენელი აგრეთვე უფლებამოსილია მატერიალური სახით გაეცნოს ხმის მიცემის ფორმებს.